მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 46/51

ქ. თბილისი 21 დეკიემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, სსიპ გ.ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N 51 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ თინათინ გურამიშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფ/ზ თათია გედევანიშვილი პირადი N01017019475, (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა (CPV: 92312213) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი:

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისინებული მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს **640** ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 დღის ვადაში.
2.3 ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, რის საფუძელსაც წარმოადგენს 2.2 პუნქტში მითითებული მიღება - ჩაბარების აქტი.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია - თბილისი, მელიქიშვილის N2;
4.2. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს 2020 წლის 27 დეკემბრამდე არსებულ პერიოდში გასაწევი მომსახურების შინაარსისა და მოცულობის მიხედვით, თანმიმდევრულად არსებული საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;
გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული ტექნიკის გამართული მუშაობის

უზრუნველეყოფა;

- მასწავლებელთა და მოსწავლეთა ტექნიკური მხარდაჭრა საგაკვეთლო პროცესში.
- ელექტრონული ცხრილების წარმოებისას ოპერატორის ფუნქციის შესრულება.
- მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის ელექტრონული ბაზისა და სხვა ელექტრონული დოკუმენტაციის შექმნა და კოორდინაცია.
- უზრუნველყოს დისტანციური სწავლების ეტაპზე, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ტექნიკური მხარდაჭერა.
- გაუწიოს დახმარება პედაგოგებს ელექტრონული ჟურნალის წარმოებასთან დაკავშირებით და უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა ანდა შესაბამისი ორგანოსათვის ინფორმაციის მიწოდება ხარვეზების თაობაზე.
- სემესტრული ნიშნებისა და ყველა სხვა საჭრო ელექტრონული პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით პედაგოგიების დახმარება/კონსულტირება.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის N 51 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ.
6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 27 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 11. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი: სსიპ - გ.ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N 51 საჯარო სკოლა ს/კ 203850699 მის. : მელიიშვილის 2 ტელ: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE74LB0121128401106000 **დირექტორის მ.შ**	**მიმწოდებელი:** ფიზიკური პირი თათია გედევანიშვილი პირადი N 01017019475 მის.: ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE73LB0711102681839440 _____ (ხელმოწერა)